საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2019 წლის დეკემბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2019 წლის დეკემბრის თვეში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2019 წლის 20 დეკემბერს ცვლილება შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, კერძოდ:
მე-18 მუხლის მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„8. 2007 წლის 1 სექტემბრიდან „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ბუნებრივი გაზის მიწოდებისას საგადასახადო მიზნებისათვის საბაზრო ფასად მიჩნეულ იქნეს საქართველოს მთავრობის მიერ (მათ შორის, გაფორმებული შეთანხმებით) განსაზღვრული ფასი.“.

168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ც“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„ც) ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის მიწოდება, გარდა ელექტროენერგიის მომხმარებლისათვის („ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირებისათვის) მიწოდებისა, აგრეთვე გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის მომსახურება;“.

179-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„5. „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ელექტროენერგეტიკული საქმიანობის განმახორციელებელ საწარმოს, როცა ფასის შემცირების გამო ან სხვა მიზეზით შეცვლილია ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა, უფლება აქვს, დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება განახორციელოს არაუგვიანეს

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლოსი, თუ დასაბეგრი ოპერაციის თანხის ცვლილება გამოწვეულია გარანტირებული სიმძლავრის ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ცვლილებით ან/და კვალიფიციური საწარმოს მიერ წარმოებული, იმპორტირებული, მოხმარებული (შესყიდული) ან/და ექსპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობის ცვლილებით, მიუხედავად იმისა, იცვლება თუ არა ამის შედეგად ელექტროენერგიის გასაყიდი ან/და შესასყიდი ტარიფი (ფასი).“.

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

2019 წლის 20 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილებები:

1. **258-ე მუხლის 3^1 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:**

„3^1. ფინანსურ გირავნობასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

418-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 1^1 ნაწილი:
„1^1. „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ურთიერთგაქვითვის ან საბოლოო ურთიერთგაქვითვის განხორციელების შედეგად გამოთვლილი მხარის ნეტვალდებულება არ არის პირგასამტეხლო ან სხვა, მსგავსი შინაარსის საჯარიმო სანქცია და არ უნდა იქნეს მიჩნეული პირგასამტეხლოდ ან სხვა, მსგავსი შინაარსის საჯარიმო სანქციად.“.

კოდექსს დაემატა შემდეგი შინაარსის 442^1 მუხლი:
„მუხლი 442^1. ურთიერთგაქვითვა და საბოლოო ურთიერთგაქვითვა
ურთიერთგაქვითვის შეთანხმების ფარგლებში დადებული კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულებიდან გამომდინარე ორმხრივი ვალდებულებები შეიძლება შესრულდეს ურთიერთგაქვითვით ან/და საბოლოო ურთიერთგაქვითვით, რაც რეგულირდება „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონით.“.

799-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„3. დერივატივი არ არის დაზღვევის ხელშეკრულება. დერივატივთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამ მუხლისა და ამ კოდექსის მე-800–858-ე მუხლების მოქმედება არ ვრცელდება აღნიშნული კანონიდან გამომდინარე ურთიერთობებზე.“.

951-ე მუხლის:
ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„1. თამაშობა ან სანაძლეო მოთხოვნის უფლებას არ წარმოშობს. ეს წესი ვრცელდება სესხსა და ავანსზე, რომელიც განზრახ მიეცა თამაშისათვის ან სანაძლეოსათვის.“;
ბ) მე-2 ნაწილის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:
„3. კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულება არ არის თამაშობა ან სანაძლეო და მასზე არ ვრცელდება ამ მუხლის მოქმედება. კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულება რეგულირდება „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონით.“.

2. **132-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:**

„ა) ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე კომერციული ბანკის რეზოლუციის რეჟიმში (მორატორიუმი);“.

206-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 206. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების შეწყვეტა ვალის გადაკისრებისას
ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა ან გირავნობა, თუ თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. თავდების ან დამგირავებლის თანხმობა საჭირო არ არის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.“.

კანონი, გარდა ცვლილებების მეორე ნაწილისა, ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, ხოლო ცვლილებების მეორე ნაწილი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

2019 წლის 20 დეკემბერს ცვლილება შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, კერძოდ:
191-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„4. ამ თავით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ ვრცელდება „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფინანსურ გირავნობაზე (ფინანსური გირავნობის საგანზე) და „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისტემის მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშზე.“.

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს კანონი „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“

2019 წლის 19 დეკემბერს ცვლილება შევიდა „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში, კერძოდ, 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„ნ) სამორინე, აზარტული კლუბი, სათამაშო აპარატების სალონი, ტოტალიზატორისთვის, ლოტოსა და ბინგოსთვის სპეციალურად მოწყობილი შენობა-ნაგებობები უზრუნველყოს მუდმივი დენის წყაროთი, აღჭურვოს დარბაზში, სალაროსთან, შემოსასვლელში და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ავტომატური ვიდეოტექნიკით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დარბაზში, სალაროსთან და შემოსასვლელში ვიდეოჩაწერა უნდა მიმდინარეობდეს ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, სამორინეს, აზარტული კლუბისა და სათამაშო აპარატების სალონის მუშაობის მთელ პერიოდში, ხოლო გარე პერიმეტრზე – მუდმივად. ვიდეოჩაწერის შედეგად მიღებული ელექტრონული მატარებლები შესაბამისი ჩანაწერებით არანაკლებ 30 დღისა უნდა ინახებოდეს სათანადოდ დაცულ ადგილზე და დასაბუთებული მოთხოვნისთანავე უნდა წარედგინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/და სხვა უფლებამოსილ ორგანოებს. სალარო უნდა აღიჭურვოს ჯავშნიანი ფანჯრით და შესაბამის დაცვის სამსახურთან დამაკავშირებელი საგანგაშო სიგნალით;“.

იმავე კანონით ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორებს განესაზღვრათ ვალდებულება 2020 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყონ სამორინეში, აზარტულ კლუბში, სათამაშო აპარატების სალონში, ტოტალიზატორისთვის, ლოტოსა და

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ბინგოსთვის სპეციალურად მოწყობილ შენობა-ნაგებობებში დამონტაჟებული ავტომატური ვიდეოტექნიკის საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

კანონი ამოქმედდება 2020 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს კანონი „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“

2019 წლის 20 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ კანონი. ეს კანონი აწესრიგებს დერივატივის დადების, ურთიერთგაქვითვისა და ფინანსური გირავნობის გამოყენების საკითხებს. ამ კანონის მიზანია საქართველოში დერივატივების ბაზრის განვითარება, აგრეთვე ურთიერთგაქვითვის, ფინანსური გირავნობისა და დერივატივის დადებისათვის აუცილებელი, მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება. ეს კანონი არ ვრცელდება სეკიურიტიზაციის შემთხვევებზე.

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge